

ქართლ-კახეთის სამეფოს სირმა თეთრის შემცველი სამონეტო კომპლექსების მეტა-ანალიზი¹

ქართლ-კახეთის სამეფოს (1744-1801) ქართველი ერის ისტორიაში სრულიად გამორჩეული ადგილი უჭირავს - ეს ქართული სახელმწიფო ახალი დროის ქართული სახელმწიფოებრიობის ფლაგმანს წარმოადგენდა, რომელიც ეროვნული აღორძინების მესამირკვლე შეიძლება გამხდარიყო (რაც, არ მომხდარა). ლოგიკურია, რომ, ამჟამად, ქართული სახელმწიფოებრიობის (თუნდაც, დანაკარგებით) აღდგენის შემდგომ, ქართლ-კახეთის სამეფოს ისტორიის ყველა ასპექტი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდეს.

ჩვენი კვლევა შეეხება ქართლ-კახეთის სამეფოს ისტორიის ნუმისმატიკურ-მონეტარულ კომპონენტს; ვგულისხმობთ ქართლ-კახეთის სამეფოში საკუთარი საფასის ემისიასა და მის მიმოქცევას ქრონოლოგიურად და გეოგრაფიულად შეუზღუდავ საზღვრებში; ასევე, ქართლ-კახეთის სამეფოში იმპორტირებული საფასის როლს. წინამდებარე ნაშრომში ყურადღებას ვამახვილებთ ქართლ-კახეთის სამეფოს უნიკალურ, ანალოგების არმქონე, მვირფასი ლითონის საფასეზე - სირმა თეთრზე, ანუ, მაღალი სინჯის ვერცხლის მონეტებზე, რომელთა გამოშვებაც ირაკლი II-ის 1765/6-1768/9

¹ ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო გრანტი Yშ-21-2879: ქართლ-კახეთის სამეფოს (1744-1801) ფულადი პოლიტიკა და ისტორია).

(ჰიჯრის 1179-1182) წლებში განხორციელებული სამონეტო რეფორმის შემდეგ დაიწყო.

კვლევის მიზანია - ქართლ-კახეთის სამეფოს სირმა თეთრის მიმოქცევის შესწავლა; მიღებული შედეგების საფუძველზე კი ამ ქართული საფასის ემისიის გარემოებებისა და ისტორიული მნიშვნელობის გარკვევა.

საკვლევი მასალის თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ ამა თუ იმ ტიპის საფასის მიმოქცევაზე ინფორმაციის პირველწყაროები სამგვარია: 1) მონაცემები თავად ცალკეული მონეტებისა თუ მონეტების შემცველი განმების შესახებ (ამგვარი კომპლექსები შეიძლება იყოს ექსკლუზიურად მონეტარული, ან შერეული - მონეტარული-ნივთიერი) (ინფორმაციის წყაროა არქეოლოგიური გათხრები ან შემთხვევითი აღმოჩენები); 2) ამა თუ იმ ტიპის ოფიციალური, ანუ, სახელმწიფო, საბუთი (ქართული; თუ, დაფუძვით, ჩამოსულ რუს მოხელეთა ოფიციალური ანგარიშები); ან კერძო პირთა შორის დადებული სახელშეკრულებო დოკუმენტაცია; რომელმაც ჩვენამდე მოაღწია (ქართლ-კახეთის შემთხვევაში ოფიციალური დოკუმენტაცია მნიშვნელოვანწილად, ჩანს, დაიღუპა; კერძოს საბუთები კი საკმაო რაოდენობით შემორჩა); 3) ნარატიული წყაროები (უცხო მოგზაურთა თუ ქართველთა დღიურები; ისტორიული ხასიათის ნაშრომები).

სირმა თეთრის შემთხვევაში, ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო, როგორც წინასწარმა მოკვლევამ გვიჩვენა, სწორედ ცალკეული მონეტებისა თუ მონეტების შემცველი განმების აღმოჩენებია. ასე რომ, წინამდებარე ნაშრომში მნიშვნელოვანწილად სწორედ ამ პირველწყაროს დავყვარდნობით.

რასაკვირველია, მნიშვნელოვანია შემორჩენილი დოკუმენტაციაც, კერძოდ, როგორც ქართლ-კახეთის სამეფოს, ასევე რუსეთის იმპერიის საბუთებიც, სადაც საინტერესო ცნობებს ვაწყდებით სირმა თეთრის მიმოქცევაზე მთელს რეგიონში.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ საკვლევი მასალა მრავალგვარი მეთოდოლოგიური მიდგომის საშუალებას იძლევა. ცალკეული მონეტებისა თუ სამონეტო კომპლექსების განაწილების მიხედვით შესაძლებელია მსჯელობა სირმა თეთრის როგორც ქრონოლოგიური, ასევე გეოგრაფიული განვრცობის შესახებ. ამასთანავე, სამონეტო კომპლექსების აღმოჩენები, ცალკეული მონეტების აღმოჩენებთან შედარებით, ბუნებრივია, მეტ ინფორმაციას გვაწვდის, ვინაიდან სამონეტო კომპლექსებს (ცალკე აღმოჩენებისგან განსხვავებით)

გეოგრაფიულის გარდა ქრონოლოგიური განზომილებაც გააჩნიათ - განძების შინაგანი სტრუქტურა იძლევა საშუალებას მათი ტეზავრაცია საკმაოდ ზუსტად დათარიღდეს; რასაკვირველია, არა ნაკლებ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს ცნობა პოვნის (თუნდაც, მიახლოებითი) ადგილის შესახებ.

საკვლევ მასალას წარმოადგენს დღეისთვის მეტ-ნაკლებად ამომწურავი სახით დაგროვებული ინფორმაცია სირმა მონეტების შემცველი 23 განძის შესახებ. დამატებითა მონაცემებმა მოგვცა საშუალება განგვევრცო და დაგვეხვეწა ჩვენს მიერ 2021 წელს 13 სამონეტო კომპლექსის შესწავლის საფუძველზე შემუშავებული სირმა თეთრის შემცველი განძების კლასიფიკაცია (Paghava 2021).

განძების კლასიფიკაცია ხორციელდება სამონეტო კომპლექსის ორი პარამეტრის გათვალისწინებით: გეოგრაფიული (აღმოჩენის, თუნდაც, მიახლოებითი ადგილი), და ქრონოლოგიური (ტეზავრაციის დრო, განსაზღვრული ტრადიციულად, ყველაზე ახალგაზრდა მონეტით - განძში შემდგომი პერიოდის გავრცელებული მონეტების არარსებობით). სულ გამოვყავით ოთხი ჯგუფი.

I ჯგუფი: ამ ჯგუფში გაერთიანებულია 12 განძი. ტერიტორიულად, ყველა აღმოჩენილია ისტორიული ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე (თანამედროვე პოლიტიკური საზღვრები იგნორირებულია); ყველაზე ახალგაზრდა მონეტა XVIII საუკუნეს არ სცილდება, XIX საუკუნის მონეტები არ არის; ამრიგად, ამ ჯგუფის განძები გვისურათებს ქართლ-კახეთის სამეფოს სამონეტო მიმოქცევას.

1. ლალაქენდის (1897): 73 ქართული ვერცხლის მონეტა, როგორც ჩანს, სირმა თეთრი, მოჭრილი ირაკლი II-ის ზეობაში (ანუ, ჰ. 1213 წ. მონეტა განძში არ შედიოდა?); სამწუხაროდ, მონეტების ნომინალი არ არის მითითებული (Пахомов 1926, 71, #231); განძის ტეზავრაცია XVIII ს. დასასრულს უნდა მომხდარიყო;
2. გორის უძეზდის (1906): ირაკლი II-ის დაახლოებით 60 აბაზი, და 5 პუდზე მეტი სპილენძის მონეტა, აქედან რუსეთის იმპერიის 5-კაპიკიანები (1760-, 1770-, 1780-იანი წლების), ასევე, როგორც ჩანს, ეკატერინე II-ის 2-კაპიკიანებიც, და ირაკლი II-ის სპილენძის ბისტები და ნახევარ-ბისტები, ძირითადად ერთთავიანი არწივის გამოსახულებით (1796), მაგრამ, მცირე რაოდენობით, ორთავიანი არწივის გამოსახულებითაც (თარიღების სხვადასხვა კომბინაციით) (Пахомов 1926, 71, #230; Кебуладзе 1969, 96-97, #2); განძის ტეზავრაცია XVIII ს. დასასრულს უნდა მომხდარიყო;

3. ჭიკაძის (1927): >100 სირმა აბაზი; ყველაზე ხანდაზმული თარიღით ჰ. 1182 თუ 1184 წ., ახალგაზრდა თარიღით ჰ. 1213 წ. (1798/9) (1 მონეტის თარიღი ჰ. „1166“ წ. იყო) (Пахомов 1938, 58, #537; Пахомов 1949, 79, #1216); განძის ტეზავრაცია XVIII ს. დასასრულს უნდა მომხდარიყო;
4. უპასპორტო I (2004): >100 სირმა აბაზი (ჩვენი ჩანაწერების მიხედვით), ყველაზე ახალგაზრდა მონეტა ჰ. 1213 წლით იყო დათარიღებული (Paghava 2021); განძის ტეზავრაცია XVIII ს. დასასრულს უნდა მომხდარიყო;
5. უპასპორტო II (2005): >100 სირმა აბაზი (ჩვენი ჩანაწერების მიხედვით; მიუხედავად ქრონოლოგიური სიახლოვისა, ეს სხვა განძი იყო, და არა წინა განძის ფრაგმენტი), ყველაზე ახალგაზრდა მონეტა ჰ. 1213 წლით იყო დათარიღებული (Paghava 2021); განძის ტეზავრაცია XVIII ს. დასასრულს უნდა მომხდარიყო;
6. ბოლნისის (2010-იანი წწ.): ექსკლუზიურად სირმა თეთრი - 33 აბაზიანი (საერთო რაოდენობის 94.3%): ჰ. 1183 (გახვრეტილი), 1184, 119x, 1190, 1192, 1193, 1202, 1205, 1206, 1207 (6 ც.), 1208 (2 ც.), 1209, 1211 (15 ც.); 2 უზალთუნი (5.7%): თარიღი არ იკითხება, ჰ. 1206 წ. ყურადღებას იპყრობს ჰ. 1211 წლით დათარიღებული აბაზიანების სიხშირე (აბაზიანების საერთო რაოდენობის 45.5%). განძი საკმაოდ კომპაქტურია: ყველაზე ხანდაზმული მონეტაა ჰ. 1183 წ. აბაზიანი, ყველაზე ახალგაზრდა - 1211 წლის აბაზიანები (1796/7). განძის ტეზავრაცია XVIII ს. დასასრულს უნდა მომხდარიყო (ფალავა 2021ბ);
7. მანავის (2009): ყველაზე ცოტა 116 მონეტა, ყველა სირმა აბაზიანი: ჰ. 1182 (2 ც.); 1183 (6); 1184 (10); 1189 (1); 1190 (15); 1191 (8); 1192 (16); 1193 (20); 1194 (6); 1195 (5); 1203 (1); 1205 (1); 1206 (1); 1207 (6); 1208 (1); 1210 (1); 1211 (8); 1213 (1); თარიღი არ იკითხება (7). უგვიანესი მონეტა დათარიღებულია ჰ. 1213 წ. (1798/9), XIX ს. მონეტები განძში არ შედიოდა. შესაბამისად, განძის ტეზავრაცია XVIII ს. დასასრულს უნდა მომხდარიყო (ფალავა 2022);
8. კოჯრის II (2022): 36 სირმა ვერცხლის მონეტა - 35 სირმა აბაზი (ჰ. 11xx: 1, 1182 (): 1; 1183: 1; 1184: 1; 1193: 2; 12xx: 2; 1202: 1; 1206: 1; 1207: 1; 121x: 1; 1211: 4; თარიღი არ იკითხება: 19¹), და 1 განჯის აბაზიანი, სირმა ტიპის (Пагава 2013, 227-233), ჰ. 1204 ან, უფრო, 1205 წლის (შეად. Пагава 2013, 228-229, Рис. 18, 23). საყურადღებოა, რომ

¹ ორიგინალურ პუბლიკაციაში ციფრი შეცდომითაა მითითებული.

ყველა მონეტას მირჩილვის კვალი შერჩენოდა, ანუ, ტეზავრაციამდე რაღაც სამკაულს ამშვენებდა (2 სირმა აბაზის გარდა, დანარჩენ 24 მონეტაზე მირჩილვა თარიღის მხარესაა, რაც მის წაკითხვას ხშირად შეუძლებელს ხდის). ყველაზე ახალგაზრდა მონეტა დათარიღებულია ჰ. 1211 წ. (1796/7), განძი კი XIX ს. მონეტებს არ შეიცავდა. შესაბამისად, ამ განძის ტეზავრაცია XVIII ს. დასასრულს უნდა მომხდარიყო (ფაღავა 2022);

9. დუშეთის (2005): ექსკლუზიურად სირმა თეთრი - 4 სირმა აბაზი: ჰ. 118x (სტილით ჰ. 1182, 1183, ან 1184 / 1768-1771), 1201 (1786/7), 1205 (1790/1) და 1207 (1792/3) (საერთო რაოდენობის 80%); და 1 სირმა უზალთუნი (საერთო რაოდენობის 20%): ჰ. 1211 (1796/7). ყველაზე ახალგაზრდა მონეტა ჰ. 1211 წლის აბაზია (1796/7); განძის ტეზავრაცია XVIII ს. დასასრულს უნდა მომხდარიყო. სავარაუდოდ, ეს არის ე.წ. ქისა, ანუ, მცირე ზომის განძი (შეად. ფაღავა 2020), რომელიც წარმოადგენდა მფლობელის დღენიადაგ სახარჯად გამიზნულ ფულს, და არა მიზანმიმართულ დეპოზიტს (ფაღავა, იბეჭდება-ბ);
10. ქართლის უპასპორტო (2017?): 4 (თუ 5?) სირმა აბაზიანი: ჰ. 1184 (1770/1), 1192 (1778/9), 1201 (1786/7) (2 ც.). ყველაზე ახალგაზრდა მონეტების მიხედვით ამ ქისის ტეზავრაცია 1780-იანი წლების დასასრულით ან 1790-იანი წლების დასაწყისით თარიღდება (ფაღავა, იბეჭდება-ბ);
11. მთიანეთის (2020?): ვერცხლის არტეფაქტების ნატეხები და 23 ვერცხლის მონეტა (მნიშვნელოვანი ნაწილი გახვრეტილი ან გაცვეთილია): გვიანფეოდალური ხანის ქართული მონეტა ცხოველის გამოსახულებითა და გაურკვეველი (ასომთავრული?) ლეგენდით (1.30 გ) (შეად. Пагава, Спандерашвили 2018); ოსმალური ბილონის ფარა - 2 (მუსტაფა III-ისა და სელიმ III-ის); რუსეთის იმპერიის: ელისაბედის 5-კაპიკიანი (1756), ეკატერინე II-ის გრივენნიკები (1174?, 1783, 1794, 1796); ქართლ-კახეთის შაური შაჰროჰის სახელით (ჰ. „116“); სირმა თეთრი: 8 აბაზიანი: ჰ. 1182 (1768/9), 1196 (1781/2) (3 ც.), 1205 (1790/1), 1211 (2 ც.), 12xx; 3 უზალთუნი: ჰ. 11xx, 1213 (1798/9) და ჰიბრიდი (მოჭრილი უზალთუნისა და აბაზიანის შუბლისა და ზურგის სიქებით); 2 შაური: უთარილო (?), [121]3? (1798/9), და ჰიბრიდი (მოჭრილი უზალთუნისა და აბაზიანის შუბლისა და ზურგის სიქებით) განძის ტეზავრაცია XVIII ს. დასასრულს უნდა მომხდარიყო (ფაღავა, იბეჭდება-ბ);

12. ფშავლის (1963): 3 სირმა აბაზი, XVIII ს. დასასრულის 3 ოსმალური მონეტა, რუსეთის იმპერიის 11 მონეტა: ელისაბედის გრივენნიკები (2 ეგზ.: 1747, 1748); ეკატერინე II-ს გრივენნიკები (7 ეგზ.: 1770 – 2, 1779, 1791, 1795 – 2, 1796); ეკატერინე II-ს 15-კაპიკიანი (1784); პავლე I-ის 5-კაპიკიანი (სპილენძის? ვინაიდან, თარიღი მითითებულია როგორც 1796?) (მონეტების დეტალური აღწერილობა მოცემული არ არის) (Кебуладзе 1969, 14). განძის ტეზავრაცია, ჩვენი აზრით, უნდა მომხდარიყო XVIII საუკუნის დასასრულს.

II ჯგუფი: ამ ჯგუფში გაერთიანებულია 7 განძი. ტერიტორიულად, ყველა აღმოჩენილია ისტორიული სახანოების, ქართლ-კახეთის სამეფოს მეზობელი კავკასიური სახელმწიფოების ტერიტორიაზე (თანამედროვე პოლიტიკური საზღვრები იგნორირებულია); ზოგიერთ შემთხვევაში ყველაზე ახალგაზრდა მონეტა XVIII საუკუნეს არ სცილდება, XIX საუკუნის მონეტები არ არის; ზოგიერთში კი განძში შედის XIX საუკუნის მონეტებიც. ამ კრიტერიუმით, ამ ჯგუფის განძების დაყოფილია ორ ქვე-ჯგუფად, IIa (5 განძი) და IIb (2 განძი), რომლებიც ასახავს სამონეტო მიმოქცევას სახანოებში შესაბამისად ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიამდე 1801 წელს, და მის შემდეგ, როდესაც რუსებს ირაკლი II-ის პოლიტიკის შედეგად უკვე გადალახული ჰქონდათ დიდი კავკასიონის ბარიერი.

IIa:

13. დარალაგიოზის (1934): ვერცხლის ნივთები, ვერცხლის მონეტების გადაკეთებით დამზადებული 33 ლილი, და 631 ვერცხლის მონეტა (აბსოლუტური უმრავლესობა გახვრეტილი ან მირჩილული ყურწებით, საზოგადოდ, დეფექტური): მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ „თბილისური“ (საფიქრებელია, სირმა) აბაზიანები, ყველაზე გვიანდელი თარიღით ჰ. 1211 (1797/8) წ., უმნიშვნელო რაოდენობით იმავე პერიოდის (ე.ი. სირმა) უზალთუნები; კიდევ ნაკლები რაოდენობით განჯის სახანოს აბაზიანები, ხოვეიზას მუჰამმადები, ავშარული და ანონიმური ირანული ვერცხლი, 1 რუსული გრივენნიკი (1796). განძის ტეზავრაცია XVIII საუკუნის დასასრულს უნდა მომხდარიყო (Пахомов 1940, 64-65, #918).

14. სოვეტაშენის (1938): 2 სირმა ნახევარ-მარჩილიანი (ჰ. 1182 და 1184), 12 ერევნის ‘აბზასი (ჰ. [11]81, 1185 – 2 ც., უთარილო - 9 ც.), 1 თაბრიზის ‘აბზასი (ჰ. 1185); ყველაზე ხანდაზმული მონეტა დათარიღებულია ჰ. 1181 (1776/8) წლით, ახალგაზრდა - ჰ. 1185 (1771/2) წლით; განძის ტეზავრაცია 1770-იან წლებში უნდა მომხდარიყო (Пахомов 1949, 77, #1209);

15. ჩაქენდის (1953): მოკალური სპილენძის თასი და 1266 ვერცხლის მონეტა, მათ შორის: სეფიანთა - 819 ც., ავშარიანთა - 2; შირვანის 'აბასიანები - 79 ც., განჯის მონეტები - 295 ც., სირმა აბაზიანები - 71 ც.: 3. 1182, 1183 (3 ც.), 1184 (7 ც.), 1189 (გახვრეტილი), 1190 (10 ც., აქედან 1 გახვრეტილი), 1191 (7 ც., აქედან 1 გახვრეტილი), 1192 (5 ც., აქედან 1 გახვრეტილი), 1193 (17 ც., აქედან 1 შემოჭრილია), 1194 (8 ც., აქედან 1 გახვრეტილია), 1195 (8 ც.), 1196 (4 ც.) განძის ყველაზე ხანდაზმული მონეტაა სეფიანური შაჰი თარიღით 3. 1071 (1660/1) წ., ახალგაზრდა - განჯის 'აბასი თარიღით 3. 1201 (1786/7) წ. (Пахомов 1959, 27-32, #2022); განძის ტეზავრაცია 1780-იანი წლების ბოლოს უნდა მომხდარიყო;
16. ყარაბაღის I (2015): >400 განჯის, შირვანისა და ქართლ-კახეთის სამეფოს აბაზიანი; სირმების წილი დაახლოებით 25%; გავცვანით მხოლოდ 14 ეგზემპლარს: 3. 1183 წ. (1769/70), 1184 (1770/1) - 2 ც., 1190 (1776/7) - 3 ც., 1193 (1779/80) - 2 ც., 1194 (1780) - 4 ც., 1195 (1780/1) - 2 ც. გაურკვეველია, განძის ტეზავრაცია განხორციელდა 1801 წლის შემდეგ, თუ, უფრო, 1801 წლამდე (ფალავა, იბეჭდება-ბ);
17. ერევნის II (2010-იანი წლების დასაწყისი): გაურკვეველი რაოდენობის ვერცხლის მონეტა; ნანახი გვაქვს 4 (ყველა მირჩილვის კვალით, აშკარად მონისტოდან ჩამოხსნილი) - 3 სირმა აბაზიანი: [120]7 (1792/3), [12]11 (1796/7), განურჩევადი თარიღით; და 1 სირმა ტიპის განჯის აბაზიანი: 3. 1205 (1790/1). ყველაზე ახალგაზრდაა 3. [12]11 (1796/7) წლით დათარიღებული მონეტა, და სამონეტო კომპლექსიც, საფიქრებელია, XVIII საუკუნის ბოლოსთვის შედგა (ფალავა, იბეჭდება-ბ).

IIb:

18. ყარაბაღის II (2013): 102 მონეტა - 3 ვერ იდენტიფიცირდა (ლითონი უცნობია); 1 სპილენძისაა, ამხედრებული წმ. გიორგის გამოსახულებით (რუსეთის იმპერიის?), 98 ვერცხლის: სეფიანები - ხოვეიზას 11 მონეტა (მათ შორის, 3. 1088 / 1677/8, xx08), სულთან ჰუსეინ I-ის 5 მონეტა, თაჰმასბ II-ის 2 მონეტა; ავშარიანები - ნადირ-შაჰის 2 მონეტა, 'ადილ-შაჰის 1 მონეტა; ოსმალები - მეჰმეთ I-ის განჯის მუჰამმადი/ბეშლიყი; XVIII საუკუნის II ნახევრის სახანოები და ქართლ-კახეთის სამეფო - თაბრიზის სახანო: 2 ეგზ., შემახის - 9; ყარაბაღის - 46 (ყველაზე გვიანდელი დათარიღებულია 3. 1223 წლით / 1808/9); განჯის - 10; შაქის - 2; ქართლ-კახეთის სამეფოს - 1 სირმა აბაზიანი (3. 1192 / 1778); რუსეთის იმპერია - ელისაბედის (1756 წ. ნახევარპოლტინიკი), ეკატერინე II-ისა (20-კაპიკიანები და

რუბლი), და პავლე I-ის (1801 წ. რუბლი) მონეტები (Акопян 2015, 119, #20; ფაღავა, იბეჭდება-ბ). ყველაზე ახალგაზრდაა ყარაბაღის სახანოს ჰ. 1223 წლის (1808/9) მონეტა; განძის ტეზავრაცია XIX საუკუნის I-II დეკადების მიჯნაზე უნდა მომხდარიყო (ფაღავა, იბეჭდება-ბ);

19. ერევნის I (2008): 20 ვერცხლის მონეტა, აქედან 17 სირმა აბაზი (85%), 1 განჯის სახანოს 'აბზასი (10%), მათ შორის ერთი თარიღით ჰ. 1202 წ. (1787/8), 1 ქართულ-რუსული 1819 წ. ორაბაზიანი (5%); განძის ტეზავრაციის მიახლოებითი დრო 1810-იანი წწ. დასასრული - 1820-იანი წწ. დასაწყისი (Акопян 2015, 120, #24; ფაღავა, იბეჭდება-ბ);

III ჯგუფი: ამ ჯგუფში გაერთიანებულია 3 განძი. ტერიტორიულად, ყველა აღმოჩენილია ქართლ-კახეთის სამეფოს ისტორიულ ტერიტორიაზე; ყველა სამონეტო კომპლექსი სირმა თეთრთან ერთად შეიცავს ასევე XIX საუკუნის მონეტებს, და, ამრიგად, XIX საუკუნეშია ტეზავრირებული. ამ ჯგუფის განძები გვისურათებს აღმოსავლეთ საქართველოს სამონეტო მიმოქცევას ქართლ-კახეთის სამეფოს 1801 წელს ანექსიის შემდგომ.

20. ფხოველის (1955): 111 ვერცხლის მონეტა, აქედან 8 სირმა აბაზი, 60 რუსული, 24 ქართულ-რუსული და 19 პოლონურ-რუსული ვერცხლის მონეტა; ყველაზე ხანდაზმულია ჰ. 1193 წ. (1779/80) სირმა აბაზი, ყველაზე ახალგაზრდა - 1842 წ. რუსული რუბლი. სირმა აბაზის ხვედრითი წილია მონეტების საერთო რაოდენობის 7.2%. განძის ტეზავრაცია უნდა მომხდარიყო 1840-იან წლებში (არა უადრეს 1842 წლისა) (ქებულაძე 1975);

21. ფასანაურის (1970-იანი წწ.): 576 ვერცხლის მონეტა და 2 (ვერცხლისავე?) თასი. მონეტებია: ქართლ-კახეთის სამეფოს სირმა ვერცხლი - 9 ნახევარ-მარჩილიანი („1182-1192 ჰიჯრით (1768-1778)“), 136 აბაზიანი („1166-1213 ჰიჯრით (1752-1799)“), 4 უზალთუნი („1213 ჰიჯრით (1798-1799)“), 1 შაური (თარიღი არ იკითხება); ოსმალური - 1 ფარა (ინიციალური თარიღით ჰ. 1143); „ირანული“ - 1 „აბაზიანი“ (ჰ. 1209 წ. / 1794/5); ქართულ-რუსული - 13 აბაზიანი (1812-1833), 1 აბაზიანი (1812); პოლონურ-რუსული - 3 2-ზლოტიანი (1835-1836), 20 1-ზლოტიანი (1835-1840), „1 50-გროშიანი (1816)“ (გაუგებარია, თუ რა მონეტაზეა საუბარი); რუსული - 11 რუბლიანი (1764-1842), 1 პოლტინა (1818), 1 პოლუპოლტინნიკი (1786), 22 გრივენნიკი (1770-1795), 14 25-კაპიკიანი (1829-1858), 167 20-კაპიკიანი (1784-1878), 32 15-კაპიკიანი

(1788-1877), 138 10-კაპიკიანი (1813-1877). ყველაზე ხანდაზმული მონეტებია 1760-იან წლებში მოჭრილი სირმა-აბაზები და 1760-იან წლებში მოჭრილი ეკატერინე II-ს რუბლიანები, ყველაზე ახალგაზრდა - 1878 წ. ალექსანდრე II-ის 20-კაპიკიანი. განძის ტეზავრაცია უნდა მომხდარიყო 1870-იანი წლების ბოლოს - 1880-იანი წლების დასაწყისში (1890-იანი წლებშიც კი, რევაზ ქებულაძის მიხედვით) (ქებულაძე 1975, 121). სირმა თეთრის ხვედრითი წილი (მონეტების საერთო რაოდენობიდან, თუმცა, არა ღირებულებისა ან წონიდან გამომდინარე) შეადგენს 26.0%;

22. კოჯრის I (2019): 1 სირმა აბაზი (პ. 1202 / 1787/8), ქართულ-რუსული 1805 წ. აბაზი (შევსებული ნახვრეტით) და 1816 წ. ორაბაზიანი; რუსეთის იმპერიის თეთრი ფული: 1826 წ. 20-კაპიკიანი, 1834 წ. 2 ც. 20-კაპიკიანი; რუსეთის იმპერიის შავი ფული: 1810-1830 წწ. ტიპის (თარიღი არ იკითხება) 2-კაპიკიანი, 1830-1839 წწ. ტიპის (თარიღი არ იკითხება) 5- და 10-კაპიკიანი, 1840 წ. 1-კაპიკიანი „ვერცხლით“, 1841 წ. 2 ც. 3-კაპიკიანი „ვერცხლით“. ყველაზე ხანდაზმული მონეტა პ. 1202 წ. (1787/8) სირმა აბაზი, ყველაზე ახალგაზრდა - 1841 წ. 3-კაპიკიანები. საერთო ნომინალური ღირებულება 1 მან. 64 კაპ. სირმა აბაზის ხვედრითი წილია მონეტების საერთო რაოდენობის 8.3% და საერთო ღირებულების 12.2%. განძის ტეზავრაცია უნდა მომხდარიყო 1840-იან წლებში (ფალავა, იბეჭდება-ა);

IV ჯგუფი: წარმოდგენილია ერთადერთი განძით, რომელიც ნაპოვნია დასავლეთ საქართველოში, შეიცავს XIX საუკუნის მონეტებს და, შესაბამისად, ასახავს სამონეტო მიმოქცევას დასავლეთ საქართველოში. სამწუხაროდ, დღეისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციით, ვერ ხერხდება XVIII და XIX საუკუნეების სამონეტო კომპლექსების გამიჯვნა და შესაბამის პერიოდში სამონეტო მიმოქცევაზე დაკვირვება.

23. სოხუმის (1899): 10 სირმა აბაზი: პ. „1155“ (?), ტიპოგრაფიული შეცდომა, იგულისხმებოდა 1185?), 1190, 1201, 1206, 1211, 1213, განურჩევადი თარიღით (4 ც.); განჯის სახანოს ‘აბბასიანები, ოსმალური, რუსული, და ქართულ-რუსული მონეტები (9 ორაბაზიანი, 4 აბაზიანი, მათ შორის ორი თარიღებით 1818 და 1828) (Пахомов 1957, 88, #868). განძის ტეზავრაცია 1830-იან - 1840-იან წლებში უნდა მომხდარიყო.

განვიხილოთ ზემო აღწერილი სირმა თეთრის შემცველი განძები. რა დასკვნების გამოტანაა შესაძლებელი?

I ჯგუფის 12 განძის შესწავლა ცხადყოფს, რომ ირაკლი II-ის მიერ ჩატარებული რეფორმის შემდგომ ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე გაბატონდა რეფორმის პროცესში შექმნილი ეროვნული ქართული საფასე - სირმა თეთრი. ყოველ შემთხვევაში, ასე ვთქვათ, საშუალო რანგის ტრანსაქციებს უზრუნველყოფდა სწორედ სირმა თეთრი (საფიქრებელია, წვირელ აღებ-მიცემობას ემსახურებოდა სპილენძის საფასე, მსხვილ ტრანსაქციებს კი ოქროს მონეტები, პირველ რიგში, ჰოლანდიური დუკატები; თუმცა, ამ საკითხების კვლევა ამჟამად სცდება ჩვენი ამჟამინდელი ამოცანის ფარგლებს). 12-დან 10 განძი (გარდა ფშავლისა და მთიანეთის განძებისა, მაგრამ გორის უძეუდის განძის ვერცხლის კომპონენტის ჩათვლით) შედგება *ექსკლუზიურად* სირმა ვერცხლისგან (შემადგენლობის 100%) (მხოლოდ კოჯრის II განძში ერთადერთი ეგზემპლარი - საერთო რაოდენობის 2.8% - განჯაშია მოჭრილი, მაგრამ ისიც სირმა ტიპისაა, ანუ ვიზუალურად მიმსგავსებულია, მეტროლოგიურად კი იდენტურია) (ხსენებულ ორ განძს ცალკე განვიხილავთ).

ქართლ-კახეთის სამეფოში ძირითადი, ყოველ შემთხვევაში, სატეზავრაციო ნომინალი (ოთხიდან) არის აბაზი. სირმა თეთრის წარმოდგენილი ნომინალების თვალსაზრისით გვაქვს ინფორმაცია 11 განძზე. აქედან, შემთხვევათა უმრავლესობაში, სირმა თეთრი წარმოდგენილია სწორედ აბაზის ნომინალით; 11-ვე განძის მონაცემების შეჯერებით, გამოვითვალეთ ამ ნომინალის შეწონილი სიხშირე (რაოდენობრივად) - 99.47%. საზოგადოდ, მცირე ნომინალები (უზალთუნი და შაური) წარმოდგენილია მხოლოდ ბოლნისის, დუშეთისა და მთიანეთის განძებში; აქედან, ბოლნისის განძში მათი წილი მხოლოდ 5.7% (რაოდენობით, წონის მხრივ, კიდევ ნაკლები იქნება); მთიანეთის განძში - ყველანაირი მონეტების საერთო რაოდენობის 26.1%, და სირმა მონეტების 42.9% (წონით ნაკლებია, ცხადია) - ამგვარი მაღალი სიხშირე აიხსნება განძის ბუნებით; იხ. ქვემოთ); დუშეთის განძში კი მათი სიხშირეა 20%, მაგრამ ეს იმიტომ რომ აღნიშნული კომპლექსი, გარკვეული ალბათობით, დაკარგულ ქისას წარმოადგენს, და არა დაგეგმილ დეპოზიტს - მიმოქცევაში, ბუნებრივია, მცირე ნომინალებიც იღებდა გარკვეულ მონაწილეობას, თუმცა, მთავარ როლს აბაზი ასრულებდა, ჯერ კიდევ შაჰ აბბას I დროიდან მოყოლებული ძირითადი ნომინალი. აღსანიშნავია, რომ მსხვილი ნომინალი ამ ჯგუფის განძებში საერთოდ არ გვხვდება.

ვახსენეთ, რომ ამ ჯგუფის განმეხობში წამყვანი (რომ არ ვთქვათ, ერთადერთი) საფასეა სირმა თეთრი. საყურადღებო გამონაკლისს წარმოადგენს რუსული ვერცხლის მონეტების საკმაოდ საგულისხმო მინარევი მთიანეთის და ფშავლის განმეხობში, შესაბამისად, საერთო რაოდენობის 21.7% და 62.5%. თუმცა, ყურადღებას იპყრობს ორივე შემთხვევაში რუსული მონეტების მცირე ნომინალი. მცირეწონიანია სხვა მონეტებიც, მთიანეთის განმეხობში მინც (ფშავლის განმეხობში შემავალი 3 ოსმალური მონეტის ნომინალი ორიგინალურ პუბლიკაციაში მითითებული არ არის; თუმცა, ვეჭვობთ, რომ, მთიანეთის განმეხობის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც საუბარია ბილონის აქჩე-ფარას რანგის საფასეზე). მთიანეთის განმეხობი (ასევე, ფშავლის?), რომელიც დაწვრილებით სხვა ნაშრომში გვაქვს განხილული (ფაღავა, იბეჭდება-ბ), შესაძლოა წარმოადგენდეს ხანგრძლივი დაგროვების, ეთნოგრაფიულ-რელიგიური ხასიათის სამონეტო კომპლექსს; მაგრამ, სირმა თეთრის არსებობისა და პოვნის ადგილიდან გამომდინარე, ფაქტია, რომ მისი დაგროვება წარმოებდა ქართლ-კახეთის სამეფოში და მისი შემადგენლობაც, კომპლექსის ბუნების-და მიუხედავად, ასახავს ადგილობრივ სამონეტო მიმოქცევას. ძალაუნებურად ჩნდება ეჭვი, რომ 1790-იანი წლებში დიდი რაოდენობით მოჭრილმა წვრილმა რუსულმა ვერცხლის ნომინალებმა დაიწყეს შედწევა ქართლ-კახეთის სამეფოს სამონეტო ბაზარზე, თუმცა, მცირე ნომინალის სირმა თეთრის მსგავსად, მათ ვერ მოიპოვეს სადეპოზიტო, ასე ვთქვათ, კანონიერი და გადანახვის ღირსი საფასის სტატუსი; თუმცა კი, წარმოადგენდნენ შესაწირად ვარგის ობიექტს.

გორის უძეზდის განმეხობში სხვა მოვლენას ვხედავთ - სირმა თეთრის პარალელურად განმეხობი დიდი რაოდენობით რუსეთის იმპერიისა და ქართლ-კახეთის სამეფოს სპილენძის საფასეს შეიცავს (ქართლ-კახეთის სამეფოს სირმა თეთრის პარალელურად რუსეთის იმპერიის ვერცხლი ამ სამონეტო კომპლექსში არ ჩანს). სამონეტო კომპლექსი განსაკუთრებულად საინტერესოა, მაგრამ, რაკი სპილენძის საფასის მიმოქცევას ამჟამად არ ვიკვლევთ, ამ სამონეტო კომპლექსს სხვა ნაშრომში მივუბრუნდებით.

I ჯგუფის განმეხობში აშკარად იკვეთება ქრონოლოგიურად მეტ-ნაკლებად სინქრონული, მაგრამ, თავისი ბუნებით განსხვავებული განმეხობი, რომლებიც, ამ კრიტერიუმით, ეგება, შეიძლება სხვადასხვა ქვე-ჯგუფშიც გაერთიანდეს:

ა) სტანდარტული, ეკონომიკური დეპოზიტები (ყველა, გარდა დუშეთის, ქართლის უპასპორტო, მთიანეთისა და ფშავლის

განძევისა). მფლობელის ამოცანა იყო გადაენახა მეტ-ნაკლებად არსებითი თანხა, (საგანგებოდ ამორჩეულ?) ყველაზე გავრცელებულ, წამყვან, ლიკვიდურ, შინაგანი ღირებულების მქონე (ვერცხლია), ძვირფასი ლითონის ვალუტაში (სირმა აბაზიანებში), შემდგომ განძის ამოღებისა და თანხის საჭიროებისამებრ მოხმარების მიზნით. ესენია შედარებით ხანმოკლე დაგროვების სამონეტო კომპლექსები, მთლიანად შედგენილი ირაკლი II-ის სამონეტო რეფორმის შემდგომ წლებში;

ბ) ქისები (დუშეთისა და ქართლის უპასპორტო განძები). მოიცავს ამა თუ იმ მოსახლის (შემთხვევით დაკარგულ?) სადღენიადაგ სახარჯად გამიზნულ თანხას. მონეტები არ არის საგანგებოდ ამორჩეული, მათში გვხვდება მცირე ნომინალებიც. ესენია ხანმოკლე, ან, ასე ვთქვათ, ულტრა-ხანმოკლე დაგროვების სამონეტო კომპლექსები, რომლებიც თანადროული (ბუნებრივია, ირაკლი II-ის სამონეტო რეფორმის შემდგომი დროის) სამონეტო მიმოქცევის წამიერ ანაბეჭდს წარმოადგენს;

გ) ეთნოგრაფიულ-რელიგიური კომპლექსები (მთიულეთის; შესაძლოა, ასევე, ფშავლის). გარკვეული ალბათობით, წარმოადგენს აღმოსავლეთ საქართველოს მთიან მხარეში სალოცავისადმი, შესაძლოა, ხანგრძლივი დროის - ათწლეულების? - განმავლობაში შეწირული მონეტების ერთობლიობას. ჩანს, შესაწირად დასაშვები იყო მცირე ნომინალის / წონისა და დეფექტური (მირჩილული ყურწით, გახვრეტილი), მაგრამ ძვირფასი ლითონის (ვერცხლის) მონეტის გამოყენება; მოსახლეობა, ეკონომიის მიზნით, სწორედ ესეთს სწირავდა ხოლმე. მიუხედავად ეთნოგრაფიულ-რელიგიური ბუნებისა, ამგვარი სამონეტო კომპლექსები, იმავდროულად, ეკონომიკური ისტორიის საყურადღებო ძეგლებიცაა. ესენია საკმაოდ ხანგრძლივი დაგროვების სამონეტო კომპლექსები, რომელიც აერთიანებს როგორც ირაკლი II-ის სამონეტო რეფორმის შემდგომ, ასევე რეფორმამდე კარგა ხნით ადრე მოჭრილ მონეტებსაც, და ასახავს ადგილობრივ სამონეტო მიმოქცევას შედარებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

ყურადღებას იპყრობს ჰ. 1211 წლით (1796/7) დათარიღებული სირმა აბაზიანების სიხშირე. მაგალითად, ბოლნისის განძში ამ თარიღს ატარებს აბაზიანთა 45.5% (არადა, სირმა აბაზიანები იჭრებოდა,

შემონახული მონაცემებით, ჰ. 1179-1180, 1182-1184, 1190-1213 წლებში,¹ ანუ, სულ 29 წლის განმავლობაში მაინც). ემპირიულადაც - ამ წლის აბაზიანები ძალიან ხშირია. რა არის ამ გარემოების მიზეზი? მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრების შემდგომ ხელისუფლებისა და მოსახლეობის მხრიდან ვერცხლის დეპოზიტების მობილიზაციის აუცილებლობა ხომ არა?

ხელმისაწვდომი მონაცემებით სხვადასხვა წლების სირმა აბაზიანების სიხშირის გამოვლენა ხერხდება მხოლოდ და მხოლოდ ბოლნისისა და მანავის განძებისთვის; შევისწავლეთ სხვადასხვა თარიღის მატარებელი თარიღიანი (იგნორირებულია ეგზემპლარები, რომლებზედაც თარიღი არ იკითხება) აბაზიანების (და არა სხვა ნომინალების) სიხშირე როგორც აბსოლუტურ ციფრებში, ასევე პროცენტებში (დიაგრამები 1-2). აღმოჩნდა, რომ ამ ორი განძის სტრუქტურა საკმაოდ განსხვავებულია. ბოლნისის განძი ტრადიციულია, დიაგრამა აშკარად გადახრილია გვიანდელი მონეტებისკენ, რაც ლოგიკურია (ბოლოდროინდელი მონეტები განძში მეტად ილექება, ვიდრე შედარებით ადრინდელი): ჰ. 1183-1184 და 1190-1193 წწ. ჯგუფში 5 აბაზიანია (15.6%); ჰ. 1202-1211 წწ. ჯგუფში კი 27 აბაზიანია (84.4%). მაგრამ აი მანავის განძში კი მდგომარეობა შებრუნებულია, დიაგრამა უფრო ადრეული მონეტებისკენ არის გადახრილი: ჰ. 1182-1184 და 1189-1194 წწ. ჯგუფში 89 აბაზიანია (81.7%); ჰ. 1203-1213 წწ. ჯგუფში კი მხოლოდ 20 აბაზიანია (18.3%). სამწუხაროა, რომ არ გვაქვს მეტი ინფორმაცია სხვა მსგავსი სამონეტო კომპლექსებისთვის, სათანადო ანალიზის ჩასატარებლად. მანავის განძი, შემადგენლობით, თითქოს ორ-კომპონენტია, ძირითადი ნაწილი გადაინახა / დაიზოგა ჰ. 1194 წლისთვის, შემდეგ კი დანაზოგს მცირე რაოდენობით დაემატა გვიანდელი მონეტებიც, უკვე XVIII საუკუნის დასასრულისკენ. ორივე განძში თვალსაჩინო ჩავარდნაა: ბოლნისის კომპლექსში საერთოდ არ არის ჰ. 1194-1201 წწ. აბაზიანები, მანავის განძში კი ჰ. 1196-1202 წწ. აბაზიანები. მანავის განძისთვის თუ ორ-კომპონენტიაობას ვვარაუდობთ, ბოლნისის განძზე ამას ვერ ვიტყვით. ხსენებულ განძებში შესაბამისი წლების აბაზიანების არარსებობა (ამ წლების აბაზიანები ემპირიულადაც, თითქოს, შედარებით იშვიათია) იმ დროს მათი ემისიის შეზღუდვით ხომ არ აიხსნება? რაც, თავის მხრივ,

¹ პირადად არასდროს შეგვხვედრია ჰ. 1180 და 1213 წწ. აბაზიანები, ამიტომ მათ არსებობას ვერიფიცირებულად ვერ ჩავთვლით.

სამხედრო-პოლიტიკურ მოვლენებს (მაგალითად, ომარ ხანის 1785 წ. შემოსევას) და სამთამადნო წარმოების წარმადობის ფლუქტუაციებს უნდა დავეუკავშიროთ?

საყურადღებოა ასევე ქართლ-კახეთის სამეფოს სამონეტო მიმოქცევის ამსახველი განმეხების ტეზავრაციის დრო. შემადგენლობის მიხედვით ტეზავრაციის დრო დგინდება 12-დან 9 სამონეტო კომპლექსისთვის (იგნორირებული გვაქვს 2 ქისა - დუშეთისა და ქართლის უპასპორტო, რომლებშიც (სირმა) მონეტები ძალიან მცირე რაოდენობითაა და, ამრიგად, რეპრეზენტატიული, სავარაუდოდ, ისინი არ არიან; და კიდევ ლალაქენდის განძი, რომლის შემადგენლობაშიც შემაგალი სირმა თეთრის წლები უცნობი რჩება). ცხრავე კომპლექსის ტეზავრაცია მოხდა XVIII საუკუნის დასასრულს, დროის ძალიან მოკლე შუალედში 1796/7 ან 1797/8 წლიდან ვიდრე 1800-იანი წლების დასაწყისამდე (ყველაზე ახალგაზრდაა ჰ. 1211 და 1213 წწ. სირმა თეთრი და 1790-იანი წწ. რუსული წვრილი ვერცხლი; XIX საუკუნის მონეტები კი ამ განმეხებაში არ არის). რამ განაპირობა სირმა თეთრის განმეხების ტეზავრაცია მაინცდამაინც XVIII საუკუნის დასასრულს? ომიანობა და მოსახლეობის მაღალი (და მოულოდნელი) სიკვდილიანობა ქართლ-კახეთის სამეფოს მოსახლეობას ხომ პრაქტიკულად ყოველთვის ახასიათებდა? თუ, გიორგი XII-ის ზეობაში მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმე გახდა, უსაფრთხოების შეგრძნება კიდევ უფრო შესუსტდა და მოსახლეობამაც სახსრების გადანახვა დაიწყო, მაგრამ ბევრმა თავისი დეპოზიტი ვეღარ ამოიღო?

კოჯრის II განძის ყველა მონეტა მირჩილვის კვალს ატარებს (მსგავსი განმეხების სახანოების ეკონომიკასაც ახასიათებს - იხ. ქვემოთ). ეს კომპლექსი ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზეა ნაპოვნი და, სავარაუდოდ, იქვე არის ფორმირებული - სახანოებიდან რომ მომდინარეობდეს, ექსკლუზიურად სირმა ტიპის თბილისისა და განჯის (ერთადერთი ცალი) აბაზიანებისგან შემდგარი, სავარაუდოდ, არ იქნებოდა. აღსანიშნავია, რომ 2 მონეტის გარდა, ყველა შემთხვევაში მირჩილვა გაკეთებულია მონეტის იმ მხარეს, სადაც აღნიშნულია მოჭრის ადგილი და თარიღი (და ინვოკაცია), ხოლო მეორე მხარე კი, ყურანული (თუმცა, ქრისტიანთათვისაც მისაღები) ფორმულით ხელუხლებლად არის დატოვებული 34 მონეტაზე (94.4%). ეს შემთხვევითობა ვერ იქნება. ან ხელოსანი ან მისი მუშტარი მაჰმადიანი უნდა ყოფილიყო, და ღილებიც (?) ყურანული ფორმულის გამოსაჩენად იყო გამიზნული. შესაძლოა, ამგვარი ნაკეთობები უფრო მაჰმადიანურ მოსახლეობაში იყო გავრცელებული. ამრიგად, ეს

სამონეტო კომპლექსი მნიშვნელოვანია ეთნოგრაფიულ-კულტუროლოგიური თვალსაზრისითაც.

*

II ჯგუფის 7 განძის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს მეზობელ სახანოებში (რომელთაც რუსეთის იმპერიის ექსპანსიამ ბოლო რამდენადმე უფრო გვიან მოუღო) სირმა თეთრის როლი, თითქოს, ბევრად უფრო მოკრძალებული იყო. გვაქვს ციფრები 7-დან 5 სამონეტო კომპლექსისთვის (ერევნის II კომპლექსი ძალიან პატარაა, და, უდიდესი ალბათობით, მხოლოდ ფრაგმენტულად გახდა ცნობილი, ამიტომ მისი იგნორირება ვამჯობინეთ). ამ 5 სამონეტო კომპლექსში კი სირმა თეთრის ხვედრითი წილი მერყეობს საკმაოდ ფართო ფარგლებში - (იდენტიფიცირებული ვერცხლის მონეტების საერთო რაოდენობის) 0.98% (ყარაბაღის II განძი) - 85% (ერევნის I განძი), მაგრამ, ჩვეულებრივ, არცთუ მაღალია: ჩაიქენდის: 5.8%, სოვეტაშენის: 13.3%, ყარაბაღის I: 25%? (5 კომპლექსის მიხედვით სირმა თეთრის / აბაზიანების შეწონილი სიხშირეა საერთო რაოდენობის 10.6%, ან, იგივე 10.6% სოვეტაშენის განძის გარეშე, რომელიც სხვა ნომინალის სირმა ვერცხლს შეიცავდა). რეალური ციფრები კიდევ უფრო დაბალი უნდა იყოს, ვინაიდან წინამდებარე ანალიზში არ არის გათვალისწინებული სახანოების მონეტების შემცველი ის განძები, რომლებშიც სირმა თეთრი არ შედიოდა. როგორც ჩანს, ქართლ-კახეთის სამეფოს ფარგლებს გარეთ, კავკასიის სხვა რეგიონებში, ქართულ სირმა საფასეს აქტიურ კონკურენციას უწევდა სახანოების თეთრი (არეზს ჩრდილოეთით ყველაზე აქტიური ემიტენტები: განჯის, ნუხის, ყარაბაღისა და შირვანის სახანოები). თუმცა, ვშიშობთ, რომ განძები სახანოებში სირმა თეთრის გავრცელებასა და როლს ადეკვატურად არ ასახავს: ამაზე ირიბად მიუთითებს II ჯგუფის განძებში სირმა თეთრის ხვედრითი წილის ძალიან მაღალი მერყეობა (ამ მხრივ, თითქოს, არ არის სხვაობა IIa და IIb ჯგუფის განძებს შორის); ჩვენი აზრით, სახანოებში მაღალი სინჯის ვერცხლისგან დამზადებული სირმა აბაზები წარმოადგენდა ძვირფასი ლითონის, ანუ, საკუთარი საფასის საწარმოებლად აუცილებელი ნედლეულის, ძირითად წყაროს; მათი უმრავლესობა გადადნობას ემსხვერპლა.

სახანოებში სირმა თეთრის გავრცელების კუთხით, საგულისხმოა, რომ, დავით კაპანაძის აზრით, სირმა თეთრის მინაბადები იჭრებოდა ნუხის სახანოში (კაპანაძე 1969, 159).

საყურადღებოა, რომ I ჯგუფის განძების მსგავსად, II ჯგუფის განძებშიც სირმა თეთრში დომინირებს ნომინალი აბაზი; სოვეტაშენის განძს თუ არ ჩავთვლით, მისი ხვედრითი წილია 100%. მცირე ნომინალები სახანოების ტერიტორიაზე ტეზავრირებულ განძებში საერთოდ არ გვხვდება. სამაგიეროდ (და აქ აშკარა სხვაობაა ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე ტეზავრირებულ განძებთან) გვაქვს სოვეტაშენის განძი, სადაც ორივე სირმა მონეტა მსხვილი (1½ აბაზი) ნომინალისაა. უკვე გამოთქმული გვაქვს მოსაზრება, რომ ეს იყო საგანგებო, 6-დანგიანი გარდამავალი ნომინალი, ქართლ-კახეთის სამეფოს 4-დანგიან აბაზსა და თაბრიზის სახანოს 6-დანგიან აბაზის ნომინალის მონეტებს შორის; მისი მოჭრა სამხრეთ მეზობლებთან ვაჭრობის გასაადვილებლად განხორციელდებოდა (ფალავა 2021ა, 354-355).

აღსანიშნავია, რომ კოჯრის II განძის მსგავსად, ერევნის II სამონეტო კომპლექსის ოთხივე ეგზემპლარი მირჩილვის კვალს ატარებს; და ოთხივე (100%) შემთხვევაში მხარე ყურანული ფორმულით ხელუხლებლად არის დატოვებული (იხ. ზემოთ).

საზოგადოდ, დეფექტური მონეტების (ნახვრეტებით, მირჩილვის კვალითა და მირჩილული ყურწებით) ტეზავრაცია მიუთითებს ძვირფასი ლითონისგან დამზადებული საფასის შინაგან ღირებულებაზე; მის მიერ, ნაწილობრივ მაინც, საქონელ-ფულის ფუნქციის შესრულებაზე, დეფექტებისა და მირჩილვის კვალის მიუხედავად).

*

III ჯგუფი აერთიანებს მხოლოდ სამ განძს. უეჭველია, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიისა და სირმა თეთრის ემისიის შეწყვეტის შემდეგ, რუსეთის იმპერიის მონეტების (პოლონურ-რუსულისა და ქართულ-რუსულის ჩათვლით) მომრავლების პარალელურად, სირმების როლი და წილი ადგილობრივ სამონეტო მიმოქცევაში დაკნინდა; თუმცა, აღსანიშნავია, რომ მაინც საკმაოდ არსებითი რჩებოდა. 1840-იან წლებშიც კი ტეზავრირებულ ორ განძში (ფხოველისა და კოჯრის I) სირმა თეთრის ხვედრითი წილი (საერთო რაოდენობიდან) არის 7.2 და 8.3%; უფრო მეტიც - 1880-იანი წლების დასაწყისში ტეზავრირებულ ფასანაურის განძში ის უდრის 26.0%-ს (sic).

განძები ძალიან კარგად კორელირებს ხელმისაწვდომ დოკუმენტებთან. სირმა თეთრის პერსისტირებას ადასტურებს 1851 და

1853 წლების ნასყიდობის ორი სიგელი, რომელთა მიხედვით, გარიგება წარმოებდა, სხვა საფასესთან ერთად, სირმა-ვერცხლითაც (ქებულამე 1969, 759). 1851 წლის ოფიციალური ცნობით, თბილისის გუბერნიაში „ქართველ მეფეთა დროინდელი მონეტები“ რჩებოდა მიმოქცევაში 48,750 მანეთამდე ოდენობით (ამას უნდა დაემატოს ჭარბელაქნის სამხედრო ოლქის 6.390 მანეთიც) (გუგუშვილი 1956, 86). 1840-იან წლებში და 1850-იანი წლების დასაწყისში რუსულმა ადმინისტრაციამ სცადა მათი ამოღება მიმოქცევიდან, მაგრამ, როგორც ფასანაურის განძი გვიჩვენებს წარმატებას მხოლოდ ნაწილობრივ თუ მიაღწია (გუგუშვილი 1956, 83-88; ქებულამე 1969, 758-759)

ნომინალების განაწილების მხრივ ყურადღებას იპყრობს, რომ 1840-იანი წლების განმეობში წარმოდგენილია მხოლოდ სირმა აბაზი (100%); ხოლო 1880-იანი წლების ფასანაურის განძში კი წარმოდგენილია ოთხივე ცნობილი ნომინალის მონეტები, მათ შორის 9 ეგზ. ნახევარ-მარჩილიანი (ფასანაურის განძის გარდა, ამ ნომინალის სირმა მონეტების ტეზავრაციის ერთადერთი შემთხვევა სოვეტაშენის განძია) (იხ. დიაგრამა 3). შესაძლოა, განძი ხანგრძლივი (საეკლესიო / სალოცავის ?) დაგროვების იყოს, სირმა აბაზიანების გარდა, მასში შედის ასევე ეკატერინე II-ს 1760-იანი წლების რუბლიანებიც (სამწუხაროდ, განძის აღმოჩენის გარემოებები ჩვენთვის უცნობია).

საქართველოს აღმოსავლეთი პროვინციების ტერიტორიაზე სირმა თეთრის ასეთი გამოხატული პერსისტირების მიზეზს უნდა წარმოადგენდეს ქართლ-კახეთის სამეფოში მოჭრილი მონეტების რაოდენობა, და მაღალი სინჯადობა. აღსანიშნავია, რომ 1804 წელს რუსების მიერ თბილისში გახსნილი ზარაფხანის მიერ გამოშვებული ე.წ. ქართულ-რუსული მონეტების სინჯადობა და წონითი სტანდარტი შეირჩა სწორედ სირმა თეთრის მეტროლოგიის გათვალისწინებით (Пахомов 1970, 271-272; ფალავა, იბეჭდება-გ).

*

IV ჯგუფში ჯერჯერობით შედის ერთადერთი განძი. სამწუხაროდ, მისი შემადგენლობა მხოლოდ ნაწილობრივ არის ცნობილი. 1899 წ. სოხუმში აღმოჩენილი სამონეტო კომპლექსი 1830-1840-იან წწ. უნდა იყოს ტეზავრირებული. ათივე წარმოდგენილი სირმა-მონეტა აბაზიანია. აქაც ამ ნომინალის დომინირება გვაქვს. ყურადღებას იპყრობს საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში განჯის სახანოს აბზასიანების მიმოქცევა.

დოკუმენტური ცნობები ადასტურებს ირაკლი II-ისა და გიორგი XII-ის სირმა აბაზის მიმოქცევას დასავლეთ საქართველოში

XIX საუკუნეში, უკვე რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. თუ თბილისის გუბერნიაში 1851 წლისთვის მიმოქცევაში რჩებოდა 48,750 მანეთის თანხის სირმა თეთრი, ქუთაისის გუბერნიისათვის ეს რიცხვი ბევრად ნაკლები არ იყო - და შეადგენდა 22,000 რუბლს (გუგუშვილი 1956, 86).

სამწუხაროდ, არ გვაქვს ზუსტი ინფორმაცია ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის სინქრონულ სიტუაციაზე. რამდენად აქტიურად მიმოიქცეოდა სირმა თეთრი თუნდაც იმერეთის სამეფოში (ვიწრო გაგებით) ან რაჭაში? ამ შემთხვევაში, შესასწავლია ქართლ-კახეთის სამეფოში იმერლების სეზონური შრომითი მიგრაციაც (გოგოლაძე 1966, 15). თუ, სამონეტო ბაზარი ძირითადად ოსმალური ფულით იყო გაჯერებული (და ნიდერლანდური დუკატებით)?

რით უნდა აიხსნას დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სირმა თეთრის შემცველი (ჯერჯერობით მაინც) ერთადერთი განძის აღმოჩენის ფაქტი? სირმა თეთრის ნაკლები მიმოქცევით, თუ ნაკლები მოულოდნელი სიკვდილიანობით, XIX ს-ში მაინც? ვფიქრობთ, დასავლეთ საქართველოს სამონეტო მიმოქცევა XVIII საუკუნის II ნახევარში და XIX საუკუნის I ნახევარში დამატებით კვლევას საჭიროებს.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ სირმა თეთრის შემცველი განძების მეტა-ანალიზი, ალტერნატიულ პირველწყაროებთან შეჯერებით, ქართლ-კახეთისა და რეგიონის ეკონომიკური ცხოვრების შესახებ საკმაოდ ორიგინალურ და არსებით ინფორმაციას გვაწვდის; და, ამრიგად, ეკონომიკური ისტორიის კვლევის ღირებულ იარაღად გვევლინება.

დამოწმებანი:

გოგოლაძე დერმიშა. 1966. სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი (XVIII-XIX სს). თბილისი: მეცნიერება.

გუგუშვილი პაატა. 1956. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში, თბილისი: სახელგამი.

კაპანაძე დავითი. 1969. ქართული ნუმიზმატიკა. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ფალავა ირაკლი. 2020. "ქართველ მეფეთა XII-XIII საუკუნეების მონეტების საფულე ქვემო ქართლიდან". ქართული ნუმისმატიკური საზოგადოების მოამბე 1: 52-62.

ფალავა ირაკლი. 2021ა. "ირაკლი II-ის 1765/6-1768/9 (ჰიჯრის 1179-1182) წლების სამონეტო რეფორმა". ენრიკო გაბიძაშვილი 90. თბილისი: 343-370.

ფალავა ირაკლი. 2021ბ. "სირმა მონეტების განძი ბოლნისის მიდამოებიდან". ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. საერთაშორისო კონფერენცია ახლო აღმოსავლეთი და კავკასია: ისტორია, კულტურა, პოლიტიკა. / "A Hoard of Sirma Coins from the Vicinities of Bolnisi". Ilia State University. G. Tsereteli Institute of Oriental Studies. International Conference The Middle East and Caucasus: History, Culture, Politics. თეზისები. Abstracts. თბილისი / Tbilisi. 16-18/12/2021. [თბილისი]: 63-65.

ფალავა ირაკლი. 2022. "ახალი მონაცემები ქართლ-კახეთის სამეფოს ვერცხლის მონეტების კავკასიაში მიმოქცევის თაობაზე (სირმა აბაზების შემცველი ორი განძი მანავიდან და კოჯრიდან)". საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესი, მოხსენებათა თეზისები. 94. Paghava Irakli. "New Data on the Circulation of Silver Coins of the Kingdom of Kartl-Kakheti in Caucasus (Two Hoards Comprising Sirma Abazis from Manavi and Kojori)". International Congress of Caucasian Studies. Abstracts. თბილისი / Tbilisi, 3-5/X/2022. [თბილისი:] ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. [Tbilisi:] Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press: 206.

ფალავა ირაკლი. (იბეჭდება-ა). "სირმა აბაზის შემცველი ორი შერეული განძი კოჯრიდან და ყარაბაღიდან".

ფალავა ირაკლი. (იბეჭდება-ბ). "ახალი მონაცემები ქართლ-კახეთის სამეფოს სირმა მონეტების მიმოქცევის შესასწავლად".

ფალავა ირაკლი. (იბეჭდება-გ). "ქართლ-კახეთის სამეფოს სამთამადნო და საფასის წარმოების ზოგიერთი საკითხი ქართული და რუსული საბუთების მიხედვით".

ქებულაძე რევაზი. 1969. "სირმა-ვერცხლის მიმოქცევის ხანგრძლივობა საქართველოში." საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 53: 757-60.

ქებულაძე რევაზი. 1975. "ფხოველის განძი." საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXXI-B: 104-22.

Paghava Irakli. 2021. "Sirma Coinage of East-Georgian Kingdom of Kartl-K'akheti (1744-1801) and Its Role in Regional Monetary Circulation (Preliminary Analysis)". Катедра Universum: Електронний Збірник науково-популярних праць з історії, археології, інформаційної, архівної та музейної справи. Випуск 3: 13-15.

Акопян Александр. 2015. “Новые данные о монетных находках из Армении и прилегающих областей”. Нумизматика Золотой Орды, 5: 116-124.

Кебуладзе Реваз. 1969.. “Из истории русско-грузинских взаимоотношений по нумизматическим данным”. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, 4: 91-104.

Пагава Иракли. 2013. “Восточногрузинское царство и Гянджинское ханство (вопросы регионального нумизматического взаимодействия)”. Эпиграфика Востока, XXX: 201-242.

Пагава Иракли, Спандерашвили Роланд. 2018. “Комплекс тяжеловесных грузинских монет позднефеодального времени из Квемо-Картли”. 354-361. Средневековая нумизматика Восточной Европы. Выпуск 7. Москва.

Пахомов Евгений. 1926. “Монетные клады Азербайджана и Закавказья”. Труды общества обследования и изучения Азербайджана, выпуск 3. Баку: Издание Общества обследования и изучения Азербайджана.

Пахомов Евгений. 1938. Клады Азербайджана и других республик и краев Кавказа. Выпуск II. Баку: Издательство Азербайджанского филиала Академии Наук СССР.

Пахомов Евгений. 1940. Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. Выпуск III. Баку: Издательство АзФАН.

Пахомов Евгений. 1949. Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. Выпуск IV. Баку: Издательство Академии Наук Азербайджанской ССР.

Пахомов Евгений. 1957. Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, Выпуск VII. Баку: Издательство Академии Наук Азербайджанской ССР.

Пахомов Евгений. 1959. Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, Выпуск VIII. Баку: Издательство Академии Наук Азербайджанской ССР.

Пахомов Евгений. 1970. Монеты Грузии. Тбилиси: Мецниереба.

